სსიპ ,,თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი“

სსიპ ,,თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი“-ს მიერ, ქ. საჩხერეში მდებარე ისტორიული ციხესიმაგრე მოდინახის კვლევითი საფიქსაციო სამუშაოების, რეაბილიტაცია–კონსერვაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების (CPV71200000) შესყიდვის

საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის 3 ბრძანების საფუძველზე

ქ. საჩხერე 2014 წელი

სარჩევი

1) საკონკურსო განცხადება——3
2) საკონკურსო წინადადების ფასი——4
3) ანგარიშსწორების პირობები——4
4) ინფორმაცია——5
5) ძირითადი პირობები——5
6) შესარჩევ ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაცია——5
7) გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები——6
8) კონკურსანტის დისკვალიფიკაცია——6
9) კონკურსის შეწყვეტა——6
10) ხელშეკრულების დადება——6
11) კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები——7
12) გასაწევი მომსახურება——7
13) საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა——8
14) შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია——8
15) დამატებითი ინფორმაცია——8
16) დანართი#1——9
17) დანართი#2——12
18) დანართი#3——17
19) დანართი#4——18
20) დანართი#5——24

1. საკონკურსო განცხადება

1,1 სსიპ ,,თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი" აცხადებს კონკურსს ქ. საჩხერეში მდებარ ისტორიული ციხესიმაგრე მოდინახის კვლევითი საფიქსაციო სამუშაოების, რეაბილიტაცია–კონსერვაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების (CPV71200000) სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1,2 კონკურსის მიზანია ქ. საჩხერეში მდებარ ისტორიული ციხესიმაგრე მოდინახის კვლევითი საფიქსაციო სამუშაოების, რეაბილიტაცია–კონსერვაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების (CPV71200000) შესყიდვისათვის გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა.

1,3 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 60000 (სამოციათასი) ლარს დ.ღ.გ ჩათვლით
(შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ–ს გარეშე)

1.4 დაფინანსების წყარო, სსიპ თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრები.

1,5 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (http://procurement.gov.ge).

1,6 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და თარიღი.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტი ს/კ 239393811).

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

1,7 საკონკურსო წინადადების ღირებულების 1%–ის ოდენობის საბანკო გარანტია (გარანტია გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ) საკონკურსო წინადადებასთან ერთად ერთ დახურულ კონვერტში (გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 2014 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით) აღნიშნული გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება არ განიხილება.

1,8 საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან 1,5და 1,6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

1,9 წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

1,10 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული პაკეტით, ქართულ ენაზე , ხელმოწერილი და

ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ, პაკეტზე მითითებული უნდა იყოს კონკურსანტის/კონკურსანტების სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

1,11 საკონკურსო წინადადებების მიღება იწყება 2014 წლის 20 ივლისს.

1,12 საკონკურსო წინადადებების მიღება მთავრდება 2014 წლის 25 ივლისს 15^{00} საათზე: დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 25 ივლისს 15^{00}–მდე შემდეგ მისამართზე ქალაქი საჩხერე თავისუფლების ქუჩა #4 საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარია.

1,13 დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

1,14 კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

2,1 საკონკურსო წინადადების ფასი

ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ს გადამხდელად);

გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (60000 ლარს), არ განიხილება.

2.2 ანგარიშსწორებიბის პირობები.

ა) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო, ვალუტა-ლარი.

ბ) ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი კვლევითი საფიქსაციო სამუშაოების, რეაბილიტაცია–კონსერვაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე განხილვის გავლის შემდეგ დადებითი დასკვნის საფუძველზე (განხილვის ვადა არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა, შემსყიდველი უზრუნველყოფს წარმოდგენილი მასალების აღნიშნულ საბჭოზე განსახილველად წარდგენას) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საბუთების წარდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

გ) წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) შესაძლებელია საავანსო გადახდა ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისი თანხის არაუმეტეს 50% ოდენობით, საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში რომელიც 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების თარიღს. (შენიშვნა: საბანკო გარანტია გაცემული უნდა საბანკო დაწესებულების მიერ).

2,3 მომსახურების ვადა

ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2014 წლის 20 ოქტომბრისა.

3, ინფორმაცია

მოდინახის ციხე აგებულია XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე არა უგვიანეს 1735 წლისა თავად პაპუნა წერეთლისმიერ. ციხესიმაგრე შედგება კლდის ქარაფებზე აზიდული 5 მთავარი და 2 უფრო პატარა კოშკისაგან. მოდინახეს ციხეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობს, ქალაქის ჩრდილოეთით მთის ზურგზე, მდ. ყვირილას ხეობაში. ცხადია ციხეს თავის დროზე მეტად დიდი სამხედრო თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. " ეს ციხე იფარავს მთელი საჩხერის ხეობას მტრისაგან ომიანობისა თუ შინაგანი განხეთქილების დროს. საჩხერის მაზრაში ამ ციხის წყალობით მტერს ვერასოდეს ფეხი ვერ მოუკიდნია".

შენიშვნა:საარქივო მასალა გადაეცემა გამარჯვებულ კონკურსანტს;კერძოდ: ფოტომასალა;1986 წელს შესრულებული ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაციის პროექტი; 1982-84წწ კროკები და ანაზომები.

4, ძირითადი პირობები:

ძეგლზე ჩასატარებელი საპროექტო-კვლევითი სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორულიDWG, DXF PLN გაფართოების ფაილი– ArchiCad, Auto CAD) ფორმატში.

პრეტენდენტი შეირჩევა სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტების და საკვალიფიკაციო მონაცემების გათვალისწინებით.

5, შესარჩევ ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები და მონაცემები:

5,1 მოდინახეს ციხე-გალავნის არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება;

5,2 კომპლექსის დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;

5,3 პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება;

5,4 ინფორმაცია ძირითადი მონაწილეების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი ამა თუ იმ პროექტში საკუთარი პოზიციის მითითებით).

5,5, საკონკურსო შესარჩევი სავალდებულო დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა:

საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენის ფორმატი - ზამბარით აკინძული A-4 ფორმატის ალბომი, შემდეგი შემადგენლობით:

5,5,1 თავფურცელი ძეგლის დასახელებით, დადასტურებული ხელმოწერით ხელმძღვანელის მიერ;

5,5,2 შესარჩევ ეტაპზე წარმოსადგენი ინფორმაცია და მონაცემები;

5,5,3 სისტემატიზირებული, დასათაურებული უახლესიფერადი ფოტომასალა;
5,5,4 ძეგლთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მასალა (საარქივო ფოტოები, პროექტები და სხვ.) რასაც პრეტენდენტი ჩათვლის საჭიროდ.
5,5,5 რეკვიზიტები დანართი #3–ის შესაბამისად.

ზემოხსენებული დოკუმენტები უნდა წარმოადგენდეს ილუსტრირებულ ანგარიშს ტექსტის ანალიტიკური ნაწილით, უახლესი ფოტომასალითა და შესაბამისი რეკომენდაციებით.
ალბომი წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ელექტრონულ (CD) ფორმატში.
ფოტომასალა CD-ზე ჩაწერილი (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის– TIFF/JPEG გაფართოების ფაილები);

6, საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები

6,1 შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო წინადადების შეფასებასა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას ახდენს საკონკურსო კომისიის მეშვეობით ერთ ეტაპად.
6,2 შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია; კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალები, საკვალიფიკაციო მონაცემების გათვალისწინებით.
6,3 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება მოხდება ღია კენჭისყრით კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას უფლება აქვს წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7, კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში;
7,1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში.
7,2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.
7,3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

8, კონკურსის შეწყვეტა
8,1 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.
8,2 შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

9, ხელშეკრულების დადება:
გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, გამარჯვებულ კონკურსანტთან, დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მიმწოდებლის მიერ ჩასაბარებელი საბოლოო პროდუქტის კვლევითი საფიქსაციო სამუშაოების, რეაბილიტაცია–კონსერვაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის დოკუმენტაციის მიწოდებას, რომლის ზუსტი შემადგენლობა განისაზღვრება ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ"–საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად (დანართი#4).

10, კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება.

10,1 საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

11, გასაწევი მომსახურება ორ ეტაპიანია.

11,1,1 პირველ ეტაპზე ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

11,1,2 განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა);

11,1,3 საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000;

11,1,4 ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500 ან 1:200;

11,1,5 სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი);

11,1,6 არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დაზუსტება და სრულყოფა რეალური მდგომარეობის ასახვითა და ელექრონულ ფორმატში გადაყვანით და გამოხაზვა-დამუშავებით; (ლოკალურ დაზიანებათა დატანით ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით); მასშტაბში გამოხაზული ნახაზები: ციხის კომპლექსის გეგმა მ. 1:100 ან 1:200; ცალკეული ნაგებობათა გეგმები, ჭრილები, ფასადები, განშლები _ მ. 1:50, არქიტექტურული დეტალები _ მ. 1:25, 1:20, 1:10; საჭიროების შემთხვევაში შაბლონები _ მ. 1:1;

11,1,7 ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

11,1,8 კომპლექსის ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
საჭიროებისამებრ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, ანგარიშს თან უნდა ახლდეს ლითოგრაფიული ჭრილები.

11,1,9 მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური მეთვალყურეობის განხორციელება;

11,1,10 სახელოვნებადმცოდნეო კვლევა (საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ძეგლის კვლევა ნატურაში და რეკომენდაციები);

11,2 მეორე ეტაპზე ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

11,2,1 არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროექტი მ-1: 50, 1:100;ციხის კომპლექსის გეგმა მ. 1:100 ან 1:200; სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები და დეტალები მ.: -1:25, 1:20, 1:10 და 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;

11,2,2 კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

11,2,3 საჭიროების შემთხვევაში ციხის ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:200, მ. 1:500,

11,2,4 სამუშაოთა ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

11,2,5 ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;

11,2,6 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა - დანართი 1);

11,2,7 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა - დანართი2).

12, საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა:

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

12,1 სათაური;
12,2 სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
12,3 ალბომის შემადგენლობა;
12,4 პროექტის შემადგენლობა;
12,5 შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;
12,6 გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე). ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

13, ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

13,1 თავფურცელი (სათაური);
13,2 სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელის და შემდგენელის ხელმოწერ(ებ)ით;
13,3 განმარტებითი ბარათი;
13,4 სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით;

14, შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია

საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს პირველ და მეორე ეტაპზე დამუშავებული დოკუმენტაცია:

14,1 მყარი ასლები – ალბომი- 4ეგზ;

14,2 ელექტრონული ფორმატი (ვექტორულიDWG, DXF PLN გაფართოებისფაილი – ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4ეგზ.).

<u>15. დამატებითი ინფორმაცია</u>

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. საჩხერე თავისუფლების ქუჩა #4 საკონტაქტო პირი: გიორგი ცუხიშვილი ტელ–(+995) 595-900-487, თომა შუკაკიძე ტელ–(+995) 598-230-580

<u>დანართი 1</u>

დამტკიცებულია
საქართველოსკულტურის, ძეგლთა
დაცვისადასპორტისმინისტრის

ბრძანება №3/175
2007 წლის 25 სექტემბერი
სახელმწიფოსარეგისტრაციო
კოდი 450.190.000.22.028.010.868

საქართველოსკულტურის, ძეგლთადაცვისადასპორტისსამინისტრო
კულტურულიმემკვიდრეობისუძრავიობიექტის/ძეგლისსააღრიცხვობარათი
№

ფოტოსურათი

1. სახელწოდება

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტიმისამართი	
ადმინისტრაციულიერთეული (ავტონომიურირესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	
ქალაქისრაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	
2.2 გეოგრაფიული / მდებარეობა	
ისტორიულიმხარე	
გეოგრაფიული ერთეულისსახელწოდება	
ისტორიულიდასახლებისსახელწოდება	
მანძილიდამიმართულებაუახლოესიდასახლებულიპუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნებისდა ლანდშაფტურიარქიტექტურის	
მონუმენტურისახვითიხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
მეცნიერების, ტექნიკისადამრეწველობისგანვითარებასთანდაკავშირებულიძეგლი	

4. თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტითარიღი)

5. სტატუსიდაკატეგორია

5.1. სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.2. სტატუსისმინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.3. სტატუსისმიმნიჭებელი ორგანიზაციისდასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.4. დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.5. კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.6. კატეგორიისმინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.7. კატეგორიისმიმნიჭებელი ორგანიზაციისდასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.8. დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.9. რეესტრის №		
5.10. რეესტრშიშეტანისთარიღი		

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
6.1. რელიგიური		
6.2. სათავდაცვო		
6.3. საერო		

7. საკუთრება

იურიდიულიპირი	
ფიზიკურიპირი	
დასხვა	

8. მოკლედახასიათება

9. ფიზიკურიმდგომარეობა

9.1. ზოგადიშეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიანცუდი, დანგრეული)

9.2. მდგომარეობისმოკლეაღწერა

9.3. დაზიანებისგამომწვევიმიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანისზემოქმედება	
სხვაკონკრეტულიმიზეზი	

9.4. მოსალოდნელისაშიშროებადა ჩასატარებელი ღონისძიებები

10. მითითებაკულტურულიმემკვიდრეობისობიექტის/ძეგლისშესახებარსებულდოკუმენტაციასადაბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/ სააღრიცხვობარათი	
გრაფიკულიმასალა	
ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებებიკულტურულიმემკვიდრეობისობიექტთან/ძეგლთანდაკავშირებულსხვაობიექტის/ძეგლისსააღრიცხვოდოკუმენტაციაზე

დაკავშირებულუძრავობიექტთა/ძეგლთაპასპორტები/სააღრიცხვობარათები	
ობიექტში/ძეგლშიდაცულიკულტურულიმემკვიდრეობისმოძრავობიექტთა/ძეგლთაპასპორტები/სააღრიცხვობარათები	
სხვადოკუმენტები	

12. დამატებითიინფორმაცია

13. ბარათისშემდგენელი

14. სააღრიცხვობარათისშედგენისთარიღი

<u>დანართი 2</u>

დამტკიცებულია
საქართველოსკულტურის, ძეგლთა
დაცვისადასპორტისმინისტრის

ბრძანება №3/175
2007 წლის 25 სექტემბერი

სახელმწიფოსარეგისტრაციო
კოდი 450.190.000.22.028.010.868

საქართველოსკულტურის, ძეგლთადაცვისადასპორტისსამინისტრო
უძრავიძეგლისპასპორტი

ფოტო

1. სახელწოდება

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტიმისამართი	
ადმინისტრაციულიერთეული (ავტონომიურირესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	
ქალაქისრაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	
2.2 გეოგრაფიული /იტორიულიმდებარეობა	
ისტორიულიმხარე	
გეოგრაფიული ერთეულისსახელწოდება	
ისტორიულიდასახლებისსახელწოდება	
მანძილიდამიმართულებაუახლოესიდასახლებულიპუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე- საპარკოხელოვნებისდალანდშაფტურიარქიტექტურის	
მონუმენტურისახვითიხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
მეცნიერების, ტექნიკისადამრეწველობის განვითარებასთანდაკავშირებულიძეგლი	

4. სტატუსიდაკატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსისმინიჭებისთარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსისმიმნიჭებელიორგანიზაციისდასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიისმინიჭებისთარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიისმიმნიჭებელიორგანიზაციისდასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
რეესტრის №		
რეესტრშიშეტანისთარიღი		

5. აგებისთარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტითარიღი)

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო		

7. საკუთრება (მესაკუთრე/მესაკუთრეები)

იურიდიულიპირი	
ფიზიკურიპირი	
დასხვა	

8. ძეგლისმოკლედახასიათება

9. ძეგლისფიზიკურიმდგომარეობა

9.1 ზოგადიშეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიანცუდი, დანგრეული)

ა) შეფასებაარქიტექტურულითვალსაზრისით ბ) შეფასებაკონსტრუქციულითვალსაზრისით

9.2 მდგომარეობისმოკლეაღწერა

9.3 დაზიანებისგამომწვევიმიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანისზემოქმედება	
სხვაკონკრეტულიმიზეზი	

9.4 მოსალოდნელისაშიშროებადაჩასატარებელიღონისძიებები

10. მითითებაძეგლისშესახებარსებულდოკუმენტაციასადაბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/ სააღრიცხვობარათი	
უახლესიდასაარქივოგრაფიკულიმასალა	
უახლესიდასაარქივოფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივოწყაროები	

11. მითითებებიძეგლთანდაკავშირებულსხვადოკუმენტაციაზე

დაკავშირებულიუძრავობიექტთა/ძეგლთაპასპორტები/სააღრიცხვობარათები	
ძეგლშიდაცულიკულტურულიმემკვიდრეობისმოძრავობიექტთა/ძეგლთაპასპორტები/სააღრიცხვობარათები	
სხვადოკუმენტები	

12. ისტორიულიცნობები

12.1 დაარსების, აღმოჩენის, მშენებლობის, შექმნისისტორია, ავტორი, დამკვეთი, ნაგებობასთანდაკავშირებულიპირებიდაორგანიზაციებიდასხვ.
12.2 გადაკეთებადა/ანდანაკარგი, რამაცშეცვალაძეგლისთავდაპირველისახე

13. ძეგლისაღწერა

13.1 გარემო
13.2 არქიტექტურულ-მხატვრულიკომპოზიცია
13.3 სამშენებლომასალადატექნიკა ა) მზიდიკონსტრუქციები ბ) გადახურვა
13.4 ინფორმაციამონუმენტურიფერწერის, პლასტიკისდაეპიგრაფიკისნიმუშებზე

14. მხატვრულ-ისტორიულირეზიუმე

15. ძეგლზეჩატარებულისამუშაოები (ზოგადიაღწერა, დრო, ავტორი, დოკუმენ-ტაციისშენახვისადგილი)

16. კარტოგრაფიულიმითითება

X კოორდინატი	
Y კოორდინატი	
სიმაღლეზღვისდონიდან	

17. საკადასტროინფორმაცია (მიწისნაკვეთის (უძრავიქონების) საკადასტროკოდი)

18. ინფრასტრუქტურა

უახლოესიდასახლებულიპუნქტი	
მანძილისამანქანოგზიდანძეგლამდე	
მანძილიუახლოესირკინიგზის სადგურიდანძეგლამდე	

19. საილუსტრაციომასალა

ფოტოები	
გენგეგმა/სიტუაციურიგეგმა	
გეგმები	
ჭრილები	
ფასადები	
ინტერიერისგანშლები	

20. დამცავიზონისსქემადაცვლილებები (დოკუმენტისსახელწოდება, თარიღი, ავტორი, სამართლებრივისაფუძველი, გრაფიკულიგამოსახულება).

21. დამატებითიინფორმაცია

22. პასპორტისშემდგენელი

23. პასპორტისშედგენისთარიღი

24. ინფორმაციაცვლილებებისშეტანისშესახებ (თარიღი)

რეკვიზიტები:

1, კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება.

2, ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

3, კონკურსანტის იურიდიული მისამართი.

4, კონკურსანტის ფაქტიური მისამართი.

5, საიდენტიფიკაციო კოდი.

6, კონკურსანტის ტელეფონის ნომერი.

7, ელექტრონული მისამართი.

8, ბანკის კოდი.

9, ანგარიშსწორების ანგარიში.

10, საკონკურსო წინადადების ფასი.

11, საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა.

12, ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად.

ხელმძღვანელის ხელმოწერა——————————————

დანართი#4

ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება #

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული კონკურსანტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. საჩხერე ___ _____ 2014წ.

ერთის მხრივ სსიპ „თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი“ (მისამართი: ქ. საჩხერე, თავისუფლების ქუჩა #4, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინგა ზაბახიძის სახით და მეორეს მხრივ
_____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)
იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი
_____
(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა)
შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე
_____
(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ქ. საჩხერეში მდებარე ისტორიული ციხესიმაგრე მოდინახის კვლევითი საფიქსაციო სამუშაოების, რეაბილიტაცია–კონსერვაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურება (CPV71200000) რომელიც განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე.

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ეტაპობრივად, არაუგვიანეს 2014 წლის 20 ოქტომბერი.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი - ქ. საჩხერე. თავისუფლების ქ#4

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 11 იანვრის #2 განკარგულებით შექმნილი ჯგუფი

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე აგზავნის მას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე განსახილველად, განხილვის გავლის შემდეგ დადებითი დასკვნის საფუძველზე (განხილვის ვადა არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა, შემსყიდველი უზრუნველყოფს წარმოდგენილი მასალების აღნიშნულ საბჭოზე განსახილველად წარდგენას) აფორმებს მიმწოდებელთან მიღება ჩაბარების აქტს.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს განხილვის შედეგად წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.7. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით;

6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

6.5. <u>წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%),</u> რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

<u>8.2 შემსყიდველი ვალდებულია:</u>

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;

8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.

8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.

8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა
10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები
11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. გარანტია
12.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;
12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 15 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).
12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3 %-ის ოდენობით.
13.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი
15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა
16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი
ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა
ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება
19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2014 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☐ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.